გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ხაშურის მოამბე

№50 (181) 28 დეკემბერი, პარასკევი, 2018 წელი

გისურვებთ კეთილდღეობასა და წინსვლას!

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ყველა ოჯახს, თითოეულ მოქალაქეს გულწრფელად ვულოცავთ დამდეგ შობასა და ახალ წელს. ვუსურვებთ ბედნიერებას, ხვავსა და ბარაქას, მშვიდობას და აყვავებას.

ახალი წელი ის დროა, როცა მიუხედავად ცხოვრებისეული პრობლემებისა, ყველა თბილი გულით და კეთილი სურვილებით ეგებება დღესასწაულს.

გვინდა, გისურვოთ თვითრწმენის განმტკიცება, ახალი შესაძლებლობები, ახალი იდეები, ახალი სასიამოვნო შთაბეჭდილებები.

ჩვენი სურვილია, თითოეული მოქალაქე, ყველა ერთად მონაწილეობას ვიღებდეთ ჩვენი ქალაქისა თუ სოფლის – მთელი მუნიციპალიტეტის წინსვლასა და წარმატებაში.

ჩვენის მხრივ, მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის საკრებულო, შესაძლებლობიდან გამომდინარე და კომპეტენციის ფარგლებში, მცდელობას არ დავიშურებთ თითოეული მოქალაქის კანონიერი ინტერესების დაცვისა თუ სოციალური გარემოს გასაუმჯობესებლად.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის, მხარდაჭერისთვის, ჯანსაღი ოპონირებისთვის, ვინაიდან მუნიციპალიტეტის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჩვენს ურთიერთთანამშრომლობაზე.

გისურვებთ კეთილდღეობას და წინსვლას!

პატივისცემით,

გიორგი გურასპაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

მშვიდობის, სიკეთისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს 2019 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით, მინდა, გულითადად მოგილოცოთ ახალი წლის შემობრძანება!

მშვიდობის, სიკეთისა და კეთილდღეობის მომტანი ყოფილიყოს 2019 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

ვაჯამებთ რა თვითმმართველობაში ყოფნის გასულ ერთ წელს, ვფიქრობთ, რომ იგი მრავალმხრივ საინტერესო იყო მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში.

მე მჯერა, რომ თქვენი ჩართულობითა და ურთიერთთანამშრომლობით, შევძლებთ გაცილებით მეტი გავაკეთოთ მომავალში მუნიციპალიტეტის განვითარებისა და კეთილდღეობისათვის!

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

წინსვლისა და გაძლიერების წელი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისათვის!

პატივისცემით, საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

გულითადად გილოცავთ დამდეგ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს, ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ...

უფალმა ინება და მომეცა შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ შობა-ახალი წელი, ჩემო ძვირფასო ხაშურელებო.

გულითადად გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს, ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ...

მშვიდობას გისურვებთ, რადგან იგია სათავე დანარჩენისა...

სიყვარულს გისურვებთ, რადგან სიყვარულის გარეშე, სიყვარულისკენ გზას ვერ გავიკვლევთ...

იმედსა და რწმენის სიმტკიცეს გისურვებთ, რადგან ცხოვრება დარდთან ერთად, სასოებაც არის. ადამიანი, მარად მსასოებელი და რაც უნდა უჭირდეს ადამის ნაშიერს, მის გულში, მაინც სანთელივით ციმციმებს იმედი, უკეთესი ხვალინდელი დღის რწმენა, რწმენა კეთილი ზეობისა და უკეთურის დათრგუნვისა...

სულ ახლახანს, თქვენ, საოცარი სიბრძნე და გონიერება კიდევ ერთხელ გამოაჩინეთ და დაამტკიცეთ, რომ არ დათმობთ იმას, რისი დათმობაც არ შეიძლება; დაამტკიცეთ, რომ პირად ინტერესებსა და შეხედულებებს საზოგადოებრივი და ეროვნული ინტერესი არ შეეწირება, დაამტკიცეთ, რომ შეგიძლიათ წყენის დავიწყება, პატიება, როცა ქვეყნის მომავალს ეხება საქმე. ეს დიდი ვალია ხელისუფლებისთვის და ისეთი ვალი, არც ჩამოწერას და არც განულებას რომ არ ექვემდებარება.

მინდა, გულწრფელად მივულოცო შობა-ახალი წელი ხელისუფლებისა და პირად ოპონენტებს, იმ ხაშურელებს, რომლებსაც არ მოვწონვართ და არ გვეთანხმებიან.

რა თქმა უნდა, უცოდველი და შეუმცდარი არავინ არის, მაგრამ მაინც, ერთმანეთთან მისასვლელ გზასა და ბილიკს უნდა ვეძებდეთ. დავით აღმაშენებელმა თავისი საფლავის ქვა ქართველთა ფეხით გადასავლელად ჩადგა და ეს ქვა, დიდი მიტევების, შერიგების, მონანიებისა და ერთობის სიმბოლოა.

“ჩვენ, ყოველ ახალ წელს, ბედნიერებას ველოდებით, მაგრამ განა შეიძლება ბედნიერებას ველოდოთ ხვალ, თუ დღევანდელი დღე შუღლში, ურთიერთდაპირისპირებაში გავლიეთ?(ილია II)”

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს და სათქმელს უფლის სიტყვებით დავამთავრებ:

“ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და ჰპოოთ; ირეკდით და განგეღოს თქუენ, რამეთუ ყოველი, რომელი ითხოვდეს, მიიღოს და რომელი ეძიებდეს, ჰპოოს; და რომელი ირეკლდეს, განეღოს- (მათე., 7, 7,8. ლუკა., 11, 9, 10)”.

უფალი ჰფარავდეს საქართველოს და ყველა ჩვენგანს!

პატივისცემით,
სიმონ ნოზაძე

განიხილეს "ივერიის" სტადიონის მშენებლობის დეტალები

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორ გიორგი შენგელიასთან ერთად, ცენტრალური-ე.წ. „ივერიის" სტადიონის მშენებლობის დეტალები განიხილა.

პროექტი, რომელიც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდება, დაახლოებით 6 მილიონი ლარის ღირებულებისაა.

პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მშენებლობა, ხელოვნური განათებით და სარწყავი სისტემით.

მოეწყობა ტრიბუნები და ღია ავტოსადგომი. სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება დამხმარე შენობა-ნაგებობები. პროექტი ითვალისწინებს საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობას.

„ფაქტობრივად, მოხდება ახალი სტადიონის მშენებლობა. უახლოეს პერიოდში, მუნიციპალიტეტი გამოაცხადებს კონკურსს ძველი შენობის დემონტაჟზე. ცენტრალური სტადიონის მშენებლობა აუცილებელია ქალაქისთვის, მნიშვნელოვანია რეგიონისთვის. სამწუხაროდ, დღემდე ჩვენს პროფესიონალ სპორტულ გუნდებს სხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე უხდებათ ვარჯიში, რაც დამატებით დროსთან და ფინანსებთან ასოცირდება. „ივერიის" სტადიონის მშენებლობა კი ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში სპორტული ცხოვრების მეტად განვითარებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას." -აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა.

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებმა, მსოფლიო ბანკის და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში სამუშაო შეხვედრაც გამართეს. შეხვედრის მიზანი ადგილობრივი თვითმმართველობების მეტად განვითარებაა.

ადმინისტრაციულ შენობაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების წარმომადგენლები, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები.

სამეცნიერო კონფერენცია მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც პუბლიცისტს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, XIX საუკუნის სამოციანელთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელ ნიკო ნიკოლაძეს მიეძღვნა, 15 დეკემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მუზეუმში გაიმართა.

კონფერენცია „ნიკო ნიკოლაძე და საქართველო" ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების მმართველმა თამაზ ლაცაბიძემ გახსნა. დამწყებთ ასევე მიესალმა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძე. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების, სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახლ- მუზეუმის და სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები.

სექციური მუშაობა მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: „ნიკო ნიკოლაძე ემიგრაციაში," „ნიკო ნიკოლაძე და ხიზანთა პრობლემები," „ქართული საზოგადო საქმის დიდი მსახური," „ნიკო ნიკოლაძე და პუბლიცისტიკის ლიტერატურული პარადიგმები," „უცხოეთიდან დანახული 1920-იანი წლების საქართველო ნიკო ნიკოლაძის პირადი წერილების მიხედვით" და სხვა.

კონფერენციის საპატიო სტუმრები იყვნენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო კონფერენციები, რომლებიც ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ეძღვნებათ, ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების ინიციატივით, ყოველწლიურად იმართება და მასში ჩართულია ქართული სამეცნიერო საზოგადოება.

რკინიგზელთა პროფკავშირს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

22 დეკემბერს, თბილისში, გაიმართა რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის ყრილობა. ყრილობას, რკინიგზის ორგანიზაციებში, წინ უძღოდა კონფერენციები და კრებები, რომლებზეც ყრილობისათვის დელეგატები აირჩიეს. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ყრილობას 25 დელეგატი ესწრებოდა. დელეგატები არჩეულ იქნენ სალოკომოტივო, სავაგონო დეპოების, სალიანდაგო სამმართველოს, სადგურის, ელექტრომომარაგების რიგგარეშე კონფერენციებზე და შედარებით მცირე ორგანიზაციების რიგგარეშე კრებებზე.

იმის გამო, რომ რკინიგზის პროფკავშირების ყოფილი თავჯდომარე ზურაბ ნასარაია დანიშნული იქნა გურიის გუბერნატორად და მისი ადგილი ვაკანტური იყო, ყრილობამ ახალი თავჯდომარე აირჩია. ამიერიდან, რკინიგზის პროფკავშირებს გელა გელაშვილი უხელმძღვანელებს.

საახალწლო ნაძვის ხის ხიფათიანი გზა საბჭოთა კავშირში და ეთიკური დასასრული

რა სძენს ზამთრის დღესასწაულებს განსაკუთრებულ საზეიმო ელფერს? რა თქმა უნდა, ნაძვის ხე, მრავალფეროვანი მოსართავები და ილუმინაციები!

ოჯახებში ნაძვის ხის მორთვა ტრადიციად არის ქცეული და მას ყველა წევრი ესწრება. წლიდან წლამდე, სულ უფრო მეტი მონდომებით ვარჩევთ აქსესუარებს და მოსართავებს სადღესასწაულო ხისთვის. ნაძვის ხე არა მხოლოდ საშობაო და საახალწლო დღესასწაულის აუცილებელი ატრიბუტია, არამედ სარკეა, რომელშიც ეპოქის მსოფლმხედველობა ირეკლება...

საახალწლო მოსართავები ოდითგანვე იცვლებოდა მმართველობის სტილიდან, იდეოლოგიიდან და საზოგადოების განწყობიდან გამომდინარე, აქვე გასათვალისწინებელია ეკონომიკური მდგომარეობაც. თანამედროვე საშობაო

რიტუალის ფორმირება გერმანულ ტრადიციაში შუასაუკუნეების ბოლოსა და ახალი ერის დასაწყისში მოხდა.

რუსეთში ნაძვის ხე, როგორც „საშობაო ხე“, XIX საუკუნის დასაწყისში პეტერბურგელი გერმანელების ოჯახში გაჩნდა. 1817 წელს მან საიმპერატორო კარის მოსასვენებელ ოთახებშიც შეაღწია. ბავშვებისთვის განკუთვნილი ნაძვის ხის ზეიმი კი, რუსეთის იმპერიაში, პირველად 1828 წელს, რუსეთის იმპერატრიცა ალექსანდრა თედორეს ასულმა თავისი ხუთი შვილისთვის მოაწყო. პირველად ნაძვის ხე საჯაროდ, რუსეთის იმპერიაში 1852 წელს პეტერბურგში, ეკატერინოგრაფის სადგურზე გამოჩნდა. ამის შემდეგ, ნაძვის ხეების დადგმა თეატრებში, კლუბებში და სხვა თავშეყრის ადგილებში დაიწყეს.

სწორედ იმის გამო, რუსთის იმპერიაში ნაძვის ხე შობის დღესასწაულთან იყო გაიგივებული და ძირითადად რელიგიური ხასიათის აქსესუარებით ირთვებოდა, მას როგორც სიმბოლოს საბჭოთა კავშირი დაუპირისპირდა. საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად გამოდიოდა „რელიგიური ცრურწმენების“ წინააღმდეგ. 1920-იანი წლების დასაწყისში, კომკავშირის წევრები, ალტერნატივის სახით „კომკავშირული შობის“ ორგანიზებას ცდილობდნენ, რომელსაც რელიგიური დღესასწაულის დისკრედიტირება უნდა მოეხდინა.

თუმცა, ახალგაზრდა კომუნისტების გადაჭარბებულმა ენთუზიაზმმა შესაბამისი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა უფროს თაობაში, რომელთა უმეტესობას ჯერ კიდევ ბავშვობიდან ჰქონდა შემორჩენილი შობასთან დაკავშირებული კეთილი მოგონებები. საბჭოთა კავშირის უკვე მძიმედ ავადმყოფმა ლიდერმა ვლადიმერ ლენინმა, 1923 წლის 7 იანვარს, შობას, ბავშვებისთვის ნაძვის ხე თავისი დის მარია ულიანოვას დახმარებით მოაწყო.

შობა კი საბჭოთა კალენდარში დასვენების დღედ 1929 წლამდე დარჩა. ამის შემდეგ კი ნაძვის ხეც და თოვლის ბაბუაც “რეპრესირებულთა” სიაში აღმოჩნდნენ, როგორც ბურჟუაზიული და ანტისაბჭოური ტრადიცია. საშობაო ნაძვის ხე კომუნისტების “ტყვეობაში” 5 წე-ლზე მეტი დროის განმავლობაში იყო.

1936 წელს, ნაძვის ხის რეაბილიტაცია საბჭოთა პრო-პაგანდისტის პაველ პოსტიშევის სახელს უკავშირდება, რომე-ლმაც არსებული ინფ-ორმაციით, სტალინს ბავშვებისთვის დღესასწაულის დაბრუნება სთხოვა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მდივანმა იოსებ სტალინმა კი მას მხარდაჭერა გამოუცხადა.

ნაძვის ხის დაბრუნების იდეასთან დაკავშირებით პოსტიშევის პირველი წერილობითი მინიშნება გაზეთ „პრავდაში“ გაჩნდა და აქედან სულ მალე



საზოგადოებას ნაძვის ხე დაუბრუნდა, თუმცა ახალი სტატუსითა და ფუნქციით - თუ რევოლუციამდე ნაძვის ხე შობის დღესასწაულს უკავშირდებოდა და მას ამშვენებდა, რეინკარნირებული ნაძვის ხე ახალი წლის სიმბოლო გახდა, რომელმაც ოჯახებში, სადღესასწაულო განწყობის პარალელურად, საბჭოთა პროპაგანდა შეიტანა.

რელიგიურ ატრიბუტებს ისეთი მოსართავები შეენაცვლა, რომლებიც საბჭოთა იდეოლოგიასა და პატრიოტულ სიმბოლიკას უკავშირდებოდა. სწორედ ამ პერიოდიდან, მაღაზიებში ყველანაირ საახალწლო თემატიკას მოკლებული ვარსკვლავების, დროშების, დირიჟაბლების, ჩარხების, თვითმფრინავებისა და ტანკების, მოგვიანებით კი კოსმოსური ხომალდების ფორმის ნაძვის ხის სათამაშოები ჩნდება.

განსაკუთრებული სააგიტაციო ფუნქცია საახალწლო ინვენტარმა, მათ შორის კი საახალწლო მისალოცმა ბარათებმა, მეორე მსოფლიო ომის დროს შეასრულა. მისალოცები სულაც არ იყო საახალწლო განწყობით გაჯერებული ბარათები, არამედ მძიმე საომარ ხასიათს ატარებდა, მსგავსი წარწერებით: „ჩვენს გზაზე მტერი განადგურებულია, ჩვენ მოვიტანთ გამარჯვებას დამდეგი ახალი წლისთვის!“

ფრონტის ხაზზე გასაგზავნი მისალოცი ბარათები, როგორც წესი, ჯარისკაცებს ბრძოლისკენ, გამარჯვებისა და სამშობლოს დაცვისკენ მოუწოდებდნენ. „საახალწლო სალამი სამშობლოს გმირ დამცველებს“ - დაახლოებით ასეთ შინაარს შეიცავდა ბარათები, რომლებიც საომარი თემატიკის მიხედვით იყო გაფორმებული. ეს ბარათები დიდი ხნის განმავლობაში ასრულებდა ხიდის როლს ფრონტის ხაზზე მყოფ ჯარისკაცებსა და მათ უკან დარჩენილ ოჯახის წევრებს შორის.

უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა პროფესიონალი მხატვრების მიერ შექმნილი ბარათები ახლა დიდი პოპულარობით სარგებლობს კოლექციონერებს შორის. კომპოზიციის მრავალფეროვნება და ორიგინალურობა სწორედ ის მახასიათებლებია, რის გამოც მათი კოლექციონირება დაიწყეს.

ოფიციალურად, ნაძვის ხემ თავი იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაიმკვიდრა. თუმცა, ამ დროსაც მისი მოსართავები კვლავაც ხაზს უსვამდა იმ იდეოლოგიას რაც საბჭოთა კავშირში იყო გამეფებული. ზოგადად, ნაძვის ხე, პროპაგანდისტული მიზნებისთვის საბჭოთა კავშირში საკმაოდ წარმატებით გამოიყენეს, ამიტომ, წლიდან წლამდე, ეს სადღესასწაულო ატრიბუტი, თავისი მოსართავებით, ყველა იმ აქტუალური მოვლენის ისტორიას ყვებოდა, რაც კონკრეტულ პერიოდში მიმდინარეობდა - იქნებოდა ეს ცივი ომი და ამერიკის კულტურასთან დაპირისპირება, თუ რბოლა კოსმოსში უპირატესობის მოსაპოვებლად.

ნაძვის ხემ თავისი მოსართავებით ყველა ეს ისტორია საკუთარ ტოტებზე გადაიტანა. საბჭოთა კავშირის შემდეგ, სადღესასწაულო ნაძვმა პროპაგანდისტული წნეხისგან ამოისუნთქა, თუმცა გაჭირვების ტვირთით დამძიმდა, რაც მის გარეგნულ მხარეს აშკარად დაეტყო.

სწორედ „ბნელ 90-იანებში“, როდესაც მოსახლეობას არ ჰქონდა ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი, საახალწლოდ განსაკუთრებით მოთხოვნადი გახდა დაბალხარისხიანი პლასტმასის მოსართავები, რომლებიც ალბათ იმაზე უფრო იყო გათვლილი, რომ არ გამტყდარიყო და რაც შეიძლება მრავალი წლის განმავლობაში „დაემშვენებინა“ ნაძვის ხე .

ასევე, ამ დროს, მოდაში შემოვიდა უგემოვნო წვიმებიანი ვერცხლისფერი ნაძვის ხეები, რომლებიც სავარაუდოდ იმისთვის შეიქმნა, რომ უშუქობისა და სიბნელის პირობებში ოთახში მეტნაკლებად გამოჩენილიყო - სხვა გამართლება მსგავსი დიზაინის ნაძვის ხის შექმნას რთულია მოუძებნო.

სადღესასწაულო ილუმინაციები, სანტა კლაუსი, საჩუქრები, რომლებსაც ბავშვები ნაძვის ხის ქვეშ ელიან და სიმღერები, რომლებიც შობა-ახალი წლისგან უკვე განუყოფელია - ეს ის სასიამოვნო სიახლეებია, რომლებიც ჩვენს საახალწლო ტრადიციაში ამერიკულმა კულტურამ დაამკვიდრა.

ამერიკულ მასკულტურაში სანტა-კლაუსის აქტიურად დამკვიდრებამ საახალწლო სიმღერები კიდევ უფრო დასამახსოვრებელი, წითელი ფერი კი განსაკუთრებით საზეიმო გახადა.

დღეს, მსოფლიოს ქალაქებს შორის ერთგვარი კონკურსიც კი არსებობს, ვის უფრო ლამაზი და ორიგინალური ნაძვის ხე ედგმება. ზოგიერთ ქვეყანაში კი ქალაქის მთავარი ნაძვის ხის განათებას ათასობით ადამიანი ადევნებს თვალს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

დღეს, ნაძვის ხე, ძირითად შემთხვევაში, ირთვება იმის მიხედვით, თუ რისი წელი მოდის, რომელი ფერი იქნება იღბლიანი და დომინანტი და რა ტრენდია ბაზარზე.

მაგალითად, უკანასკნელ პერიოდში უპირატესობას ხელნაკეთ მოსართავებს ანიჭებენ, სადაც მსხვრევად და მტვრევად მასალაზე მეტად ეკოლოგიურად სუფთა მასალა ჭარბობს. სათამაშოები რაიმე სახის პროპაგანდასა და იდეოლოგიას აღარ ატარებენ და ისინი მიმზიდველი, გემოვნებიანი, მრავალფეროვანი და გამორჩეულია.

ლევან ტაბატაძე, სალომე აბულაშვილი

2019 წლის სასიყვარულო ჰოროსკოპი ზოდიაქოს ყველა ნიშნისთვის!

ღორი აღმოსავლური კალენდრის 12 წლიან ციკლში ბოლო ცხოველია. სწორედ მას ეკუთვნის ბოლო აკორდი, რის შემდეგაც ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება. როგორც არ უნდა ისწრაფოდეს თითოეული ჩვენგანი კარიერული აღმავლობისა თუ მატერიალური კეთილდღეობისკენ, სიყვარული მაინც პირველ ადგილზე დგას. ღორის წელი საკმაოდ ნაყოფიერია ამ მხრივ.

ვერძი



მარტოხელა ვერძებისთვის კარგი ამბავი გვაქვს: სიყვარული გეწვევათ, მხოლოდ სრულიად მოულოდნელ მომენტში. არ ღირს უარი თქვათ ახალ ნაცნობობაზე და უკარებას როლი ითამაშოთ. ახალი რომანები და მსუბუქი ფლირტი ღორის წელში გამორიცხული არაა, მაგრამ ორ კურდღელს ერთად ნუ გაეკიდებით, შესაძლოა ამან ღირსეული პარტნიორი დაგაკარგვინოთ. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ თქვენს გარეგნობას.

დაოჯახებულ ვერძებს მეორე ნახევრებთან ჰარმონიული პერიოდი დაუდგებათ. იდეალური პერიოდია ბავშვის გასაჩენად. მარტოხელა ვერძებმა კი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ინტიმურ კავშირებში, რადგან ღორი მოწადინებულია, რომ ვერძებს შთამომავლობის გამგრძელებლები აჩუქოს.

კურო

ამ ნიშნის წარმომადგენლებმა თავი ხელში უნდა აიყვანონ და ვნებები მოთოკონ. იდეალური პერიოდია პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად. თუ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობთ, ძალ-ღონე მიმართეთ საცხოვრებლის შეძენისკენ. უარი თქვით დროებით და ხანმოკლე რომანებზე. კიდევ ერთი რჩევა: ნაკლები იეჭვიანეთ პარტნიორზე, მით უფრო, ამისთვის საბაბი არ გაქვთ. თუ ურთიერთობის დაკანონება გსურთ, სწორედ შესაფერისი პერიოდია. ქორწილის მაგივრად კი გირჩევთ, თქვენ ორნი სადმე თბილ ქვეყანაში გაემგზავროთ.

დაოჯახებულმა კუროებმა დისტანცია უნდა დაიჭირონ მეგობრებთან და ნათესავებთან - მათ შორის ბევრია ისეთი, რომელიც შურით გიყურებთ.

ტყუპები



ტყუპებს ამ წელს თაყვანისმცემლებისგან ყურადღება არ მოაკლდებათ. მთავარია, მხოლოდ სწორი და დროული არჩევანი გააკეთოთ. ასტროლოგები გირჩევენ, მალე გამოეთხოვოთ მარტოხელას ცხოვრებას. მათ, ვინც საკუთარ თავში ძალას იპოვის, რომ უარი თქვას საყოველთაო ყურადღებაზე 2019 წელს, ყვითელი ღორი ბედნიერ ოჯახურ ცხოვრებას ჰპირდება.

კიბო



კიბოს ამ წელს თაყვანისმცემლების მთელი არმია ელოდება. თუმცა, საიმედო და სიმპათიური მათ შორის ჯერ არ ჩანს.თუმცა, უნდა ითქვას, რომ 2019 წელს ყველაფერი თქვენს ინიციატივაზეა დამოკიდებული. თქვენი მეორე ნახევარი თქვენივე წრიდან უნდა შეარჩიოთ. უნდა მოუსმინოთ არა მარტო გულს და გონებას, არამედ ინიციატივასაც. ახალ ნაცნობობაზე უარს ნუ იტყვით, შესაძლოა რომელიმე მათგანი ცხოვრების სხვა სფეროში გამოგადგეთ.

სიყვარული კიბოებისთვის ნამდვილ შთაგონებად იქცევა, ისინი გაიფურჩქნებიან. თუ სერიოზული ნაბიჯის გადადგმა ფინანსების გამო გიჭირთ, ღორის წელში ეს პრობლემაც არ გექნებათ.

დაოჯახებულ კიბოებს მართებთ უფრო გულწრფელნი იყვნენ ურთიერთობებში. მიეცით თავს ნება და საყვარელ ადამიანთან ერთად უჩვეულო მოგზაურობა ან თავგადასავალი მოიწყვეთ. გაალამაზეთ თქვენი ურთიერთობა ემოციებით.

ლომი

2019 წელს ლომებს უბრალოდ ვერ იცნობთ. ყურადღების მოყვარული ნიშანი მყარ და ხანგრძლივ ურთიერთობას მოინდომებს და სერიოზულად დაფიქრდებიან შთამომავლობის გაგრძელებაზე. საჭიროა, მხოლოდ მოთოკოთ თქვენი მეფური კაპრიზები, წინააღმდეგ შემთხვევაში სარკეში თქვენი თავის ანარეკლთან მოგიწევთ ტკბობა. მთავარია, თქვენ თავთან იყოთ პატიოსანი და არ აირჩიოთ ის ადამიანი, რომლებსაც ახლობლები თუ ნათესავები გირჩევენ.

დაოჯახებულ ლომებს თავისი პარტნიორი თავიდან შეუყვარდებათ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა მათ შთაგონებით აავსებთ. ლომის რჩეულებს გაუკვირდებათ კიდეც, თუ რაოდენ რომანტიული ბუნების ყოფილან მათი ლომები.

ქალწული

თუ ქალწული ხელს ჩაიქნევს იდეალური პარტნიორის ძებნაზე, 2019 წელი მას თვალის დახამხამებაში მიიყვანს ღირსეულ რჩეულთან. სიფრთხილე არ გაწყენთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა სიყვარულის ისარმა სულ სხვა ადამიანთან მიგიყვანოთ. თუ გვირგვინის დადგმას გადაწყვეტთ, ეს მხოლოდ საიმედო და ღირსეულ ადამიანთან უნდა გააკეთოთ.

ასტროლოგები გირჩევენ, ამ წელს ყურადღება არ მოადუნოთ. ყურადღება დაუთმეთ ოჯახურ ცხოვრებას და თქვენ ზრუნვას ახალ რჩეულს ნუ გაუნაწილებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახსაც დაკარგავთ და ახალ რჩეულსაც.

სასწორი

2019 წელს, სასწორი უფრო გაბედული და ინიციატივიანი უნდა იყოს, როცა საქმე ცხოვრების თანამგზავრის არჩევას ეხება. იფიქრეთ მომავალზე. ღორის წელი იდეალური პერიოდია პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ხშირად იყავით საზოგადოებაში, დაესწარით ღონისძიებებს და ნუ დაჯდებით სახლში. იმისთვის, რომ თქვენი ადამიანი იპოვოთ, საჭიროა თქვენი შინაგანი სამყაროც დაალაგოთ და მოაწესრიგოთ.

დაოჯახებულმა სასწორებმა დროა შთამომავლობაზე და საცხოვრებლის გაფართოებაზეც იფიქრონ.

მორიელი



2019 წელს, მორიელის ცხოვრებაში არაფერი ზებუნებრივი არ მოხდება. არ ღირს ყოფილი პარტნიორებისგან თავის შორს დაჭერა. 2019 წლის სასიყვარულო ჰოროსკოპი გირჩევთ, თქვენს მეორე ნახევართან დათმობებზე წახვიდეთ. გირჩევთ მოგზაურობაში წახვიდეთ. არც თქვენ მოიწყენთ და საყვარელ ადამიანსაც სიხარულს მიანიჭებთ.

მშვილდოსანი

2019 წელს, მშვილდოსანი თავისი მიზიდველობით და მომხიბვლელობით იქნება გამორჩეული, რაც საწინააღმდეგო სქესს უყურადღებოდ არ დარჩება. თუ ღიმილს და ეშმაკურ სვლებსაც გამოიყენებთ, მაშინ თქვენ შეუდარებელი იქნებით. ბევრი კონკურენტი გამოგიჩნდებათ, მაგრამ თქვენ გამარჯვებული გამოხვალთ. თუმცა, არ მოდუნდეთ!

2019 წელს მშვილდოსნებს გაუჭირდებათ ცდუნებასთან გამკლავება, ეს კი იმის გამო, რომ ყურადღება აკლიათ, ამიტომ, ხშირად იქონიეთ ურთიერთობა თქვენს პარტნიორთან, რომ გამოუსწორებელი შეცდომა არ დაუშვათ.

თხის რქა

2019 წელს, თხის რქამ თამამად უნდა მიიღოს ცვლილებები, რაც მის პირად ცხოვრებასაც მოაწესრიგებს და თხის რქაშიც სიყვარულს გააღვივებს. თამამად შეიცვალეთ ვარცხნილობა, იმიჯი...თუ ოჯახური ბედნიერება მოითხოვს, თამამად შეიცვალეთ საცხოვრებელი ადგილიც.

დაოჯახებულმა თხის რქებმაც დროა, შთამომავლობაზე იფიქრონ.

მერწყული

თუ მერწყულს მყარი ურთიერთობები სურს, ცხოვრებისეულ მინიშნებებს ყურადღება უნდა მიაქციოს. არ გეგონოთ, რომ სიყვარული მოულოდნელად იფეთქებს თქვენს გულში, ყველაფერი თანდათანობით მოხდება. შესაძლოა, ძველი მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდოს, მთავარია, მომენტი ხელიდან არ გაუშვათ.

ის, ვინც ურთიერთობაშია, საყვარელი ადამიანის მიერ გამოჩენილი ეჭვიანობის სცენებისთვის უნდა მოემზადოს.ეს იმიტომ, რომ გარშემო თქვენით ყველა აღფრთოვანებული იქნება. მთავარია, არ მისცეთ სკანდალის მიზეზი და ოჯახის სიწმინდეს გაუფრთხილდეთ.

თევზები

2019 წელი თევზებს მთელ რომანტიკას ჰპირდება. საპასუხო სიყვარული - აი, რა გელოდებათ ამ წელს. თუმცა სირთულეებიც გექნებათ. თავიდან, შესაძლოა მოგეჩვენოთ, რომ თქვენი ურთიერთობა უპერსპექტივოა, მაგრამ წლის მეორე ნახევარში უკვე ფრთაშესხმულად იგრძნობთ თავს.

დაოჯახებულ თევზებსაც ამ წელს საუკეთესო შთაბეჭდილებები ელით.

სახალისო ისტორიები

თბილისელი კატა

ჩემი ბავშვობის მეგობარს და მის მეუღლეს ძალიან უყვართ ცხოველები. სახლში მუდამ ჰყავთ ძაღლი თუ კატა,ახლაც,კვარკვალიტა(ცუგო) და სოლომონი (ფისო) ცხოვრობენ მათთან. ამ ორი თვის წინ, შვილმა, რომელიც თბილისში ცხოვრობს, კიდევ ერთი - სიამის და ადგილობრივი ჯიშის ნაჯვარი, უკვე კნუტობას გაცელილი, ძალიან საყვარელი კატა აჩუქა. ჩამოიყვანეს სურამში(გვერდისუბანში) და დააბინავეს ოთახში. სანამ შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე გიამბობთ, ამ ფისოს მოკლე ბიოგრაფიაც უნდა გაგაცნოთ. მიშო (ასე ჰქვია კატას), თბილისში, ერთ-ერთ კორპუსში დაიბადა. თითქმის ერთი წლის ისე გახდა, კორპუსიდან გარეთ არც გამოსულა. მოკლედ, ნაღდი თბილისელი, კორპუსელი კატაა და

ეს "სვეტი" მიშო, უცებ აღმოჩნდა სურამში. კორპუსის მეხუთე სართულიდან რა უნდა ეხილა და სურამში კაკლის ხე რომ პირველად დაინახა, ეტყობა, კატურმა გენმა თავისი ქნა და დურთა თავი ხეზე. პირველივე ტოტიდან მოწყდა ალპინისტივით ეს საწყალი და საოცარი ისაა, რომ ზურგით დაეცა. გსმენიათ, კატა ზურგით ეცემოდეს? ძლივს მოასულიერეს, საცოდავი. მოსულიერდა თუ არა, ეტყობა, ვერ აიტანა დაცინვა, თქვენ მე მართლა "სიფანდი" ხომ არ გგონივართო და მეორედ შეეჭიდა სირთულეს–ისევ კაკალზე აძვრა. ამჯერად, აღარ ჩამოვარდნილა(პროგრესი სახეზეა), მაგრამ რად გინდა?-ვეღარ ჩამოვიდა, კნავილით აიკლო იქაურობა. ჩამოხსნეს, რა თქმა უნდა, და შეიყვანეს სახლში. აქ კი მორიგი უბედურება დაატყდა თავზე. მასპინძელმა სოლომონმა, არავინ იცის, თავმოწონებისა თუ იმერული თავაზიანობის გამო, ახლადდაჭერილი, ნახევრადცოცხალი თაგვი მიუტანა და ფეხებთან დაუგდო. აი, აქ კი მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა და რამაც მისი კატური გენი საფუძვლიანად დააყენა ეჭვისქვეშ. მიშომ ჯერ ვერ გაიგო, რა არსება ეგდო მის წინ, მაგრამ როცა თაგვი ოდნავ გაფართხალდა, ვაიმე, დედაო-კატურად იბღავლა (რადგან კნავილი უკვე აღარ ერქვა მისი ხორხიდან ამომავალ ბგერებს) და ისე დაიმალა, ორი დღე ეძებეს პატრონებმა-ისე იყო მესამე ოთახში დივნის ქვეშ შეჭედილი, ძლივს გამოიყვანეს და მოასულიერეს.

ორი თვეა გასული ამ ამბებიდან. მიშო ნელ-ნელა მოკატავდა. მთლად კაცურ კატად ვერ იქცა, მაგრამ ამასწინათ, თაგვმა ჩაუარა გვერდზე და მიშომ თვალი ისე გააყოლა, გული არ წასვლია. ეს უკვე მომავლის იმედს უტოვებს ოჯახს.

გ. გოგოღაძე

ორჯერ ნაგინები მგზავრი და თავ-პირდალეწილი მძღოლები

ერთ ამბავს მოგიყვებით. მეგობარმა მომიყვა. ვისაც ხშირი მგზავრობა უწევს საქალაქთაშორისო მარშუტკებით, კი იცის, როგორ აცლიან მგზავრებს მძღოლები ერთმანეთს. მთვარიდან ჩამოსული არცერთი ვართ და ერთი-ორი გინებაც მაპატიეთ ახლა.

ავტოსადგურში სამარშრუტო ტაქსი ის-ის იყო დადგა და ჯერ მხოლოდ რამდენიმე მგზავრი იყო ასული, შევსებას და გასვლას ბევრი აკლდა. გამოიარა გამვლელმა მარშუტკამ და შორიახლო გაჩერდა, იფიქრა, ერთი-ორ მგზავრს დავიმატებო. დაინახა ავტოსადგურის მარშუტკაში ასულმა ერთ-ერთმა მგზავრმა, ჩამოვიდა, ხელის დაქნევით ანიშნა მძღოლს არ წახვიდეო, გამვლელ მარშუტკაში ავიდა და წავიდა. გაჩერებული მარშუტკის მძღოლმა შორიდან დაინახა ეს ამბავი. ძალიან გაბრაზდა, იგინა, რა იგინა, მაგრამ რაღას იზამდა? სამაგიეროდ, იმდენი ქნა, გასვლის დრო რომ მოუვიდა, დაეწია იმ მარშუტკას და მძღოლს ხელებით ჩხუბი დაუწყო. არ მოეშვა მანამ, სანამ ამ ე.წ. გამვლელმა, რომელმაც მგზავრი წაართვა, არ გადააყენა მანქანა.

მძღოლი მიუბრუნდა იმ მგზავრს და ეუბნება, ჩადი რა, კაცურად, გადაჯექი, ხო ხედავ რა დღეშია ეს დადამო..იო. მგზავრიც წამოდგა და დაძაბულობის განსამუხტად, არიქა, ჩხუბის მიზეზი არ გავხდეო, უჩუმრად ჩავიდა გადასაჯდომად. ამ მძღოლმა მეორე მძღოლს მიაძახა, - გაიკვეტე ტრა..ში შენი ერთი მგზავრიო. მგზავრს, ჩასვლისას, რაღაც მსგავსი კი მოესმა, მაგრამ ეტყობა, არ იყო დარწმუნებული, რომ ნამდვილად მისი მისამართით იყო ბილწსიტყვაობა ნახმარი და ასევე უჩუმრად ავიდა მეორე მარშუტკაში. ახლა, ამ მძღოლმა, რომელმაც თავისი ე.წ. კუთვნილი მგზავრი დაიბრუნა და პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილა, რომ ასე ადვილად კაცი ვერაფერს დააწერს, ცოტა „დაზადნა" და იმ მარშუტკის მძღოლს ეუბნება, - ძმაო, აქ ფულზე კი არ არის საქმე, ადამიანობა და გაგებაა მთავარი, თორემ ამ ერთი მგზავრის დედაც მოვტ..ან, განა, რა უნდა ავიღოო.

რაიოო?! თქვენი ორივეს დედა..., თქვენი მკვდარი, თქვენი - ცოცხალი.

იქ ამბავი დატრიალებულა, ვინ ვის ურტყამდა და ვინ ვის აშველებდა, კაცი ვერ გაიგებდა, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდაო. ძლივს დაშოშმინდნენ და ჩაადწიეს, სადაც მიდიოდნენო.

მაია მეტრეველი

იულია პეტროვნას „ტრაგედია"

გოჩა ნოზაძეს ბევრი იცნობს ჩვენს მუნიციპალიტეტში. იგი წლების მანძილზე იყო სანატორიუმ „სურამის" დირექტორი და შესანიშნავად უძღვებოდა თავის საქმეს. სანატორიუმი საკავშირო დაქვემდებარების (ე.წ. ВЦСП) გახლდათ და ნებისმიერ სეზონზე, რუსი დამსვენებლებით იყო სავსე. მოკლედ, ბატონი გოჩას ნაამბობი უნდა გავუზიაროთ მკითხველს.

გასული საუკუნის 80-იან წლებია- გაგანია ზაფხული. სანატორიუმი მთლიანად დატვირთულია. ჩემდა ჭირად, კრასნოიარსკიდან დიმიტრი კალუგინიც გვესტუმრა – მეშახტე თუ რაღაც ჯანდაბა. ორი დღე არ იყო გასული მისი ჩამოსვლიდან და მან უკვე „აითვისა" სანატორიუმის მიმდებარე ტერიტორია და მოსახლეობაც გაიცნო თურმე. ერთ-ერთი სეირნობისას, მეზობლად, არყის გამოხდასაც შეესწრო. ვინ ეტყოდა უარს და დიმიტრიმაც იმდენი ხუხა, რა არ

ვეცადეთ , მაგრამ გონზე ვეღარ მოვიყვანეთ - წაიღო წერილი. შეიძრა რაიკომი თუ სამინისტრო. მოკლედ, ვისი ჩარევა არ გახდა საჭირო, ლამის მოსკოვის დონეზე ჩავრიეთ ხალხი და სასტიკ საყვედურზე „გადაგვატარეს". თუმცა, გაგვაფრთხილეს, ილოცეთ, რომ ოჯახმა არ იჩივლოს, თორემ მერე აღარაფერი გიშველითო. ოჯახს ეს უბედურება დეპეშით ვაცნობეთ, მაგრამ მთელი კვირა გავიდა და მათგან ჩამი-ჩუმიც რომ არ გაისმა, დავკრძალეთ ეს დიმიტრი. ის კი არა, ათი თუ თხუთმეტკაციანი ქელეხიც კი გადავუხადეთ. დაკრძალვიდან სამი დღეა გასული, უკვე გულიც დავიმშვიდეთ და ჩავთავლეთ, რომ ეტყობა მართლა უპატრონო იყო ეს უპატრონო. სამი დღის მერე კი მორიგი უბედურება დამატყდა თავს. ჩემს კაბინეტში ვარ და მთავარმა ექთანმა მომახსენა, რომ დიმიტრის მეუღლეა ჩამოსული – იულია პეტროვნა – და თქვენთან შეხვედრას ითხოვსო. გამაცივა. მივხვდი, რომ ტყუილად ჩაიარა ლოცვებმა და საშინელებისათვის მოვემზადე, უკვე „გუბერსკი" და მაგადანი მელანდება და კარებიც შემოაღო. გულს ვეღარ ვგრძნობ. ხუთი მთის იქიდან მესმის, -

– გოჩა შოთაევიჩ, ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, - იულია პეტროვნას ისეთი ნაზი ხმა აქვს, გულის პირველი ბიძგი უკვე ვიგრძენი.

- გისმენთ, - ძლივს ამოვილუღლუღე.

- ჩემს ქმარს საგზურში კიდევ დარჩა 11 დღე და შეიძლება მის მაგივრად მე დავისვენო?

კომუნისტის პარტბილეთი კი მედო ჯიბეში, მაგრამ ყველაზე მძაფრად მაშინ მივხვდი, რომ ღმერთი ნამდვილად არსებობს, თუმცა ამისათვის მთელი ხუთი წუთი დამჭირდა, რომ გონს მოვსულიყავი. როგორც იქნა, მივხვდი რომ უბედურებამ გვერდზე ჩამიარა.

- რას ბრძანებთ, ქალბატონო იულია, თქვენ ისეთი ტრაგედია დაგატყდათ თავზე, რომ 11 დღე რას გეყოფათ, მთელი თვე იყავით ჩვენთან...

ერთი თვე არც ქმრის საფლავი უნახავს იულია პეტროვნას, არც ოჯახი და შვილები გახსენებია და არც ყოველდღიურ სადამოს ცეკვებს გამოკლებია. ამ ერთი თვის განმალობაში, სადაც კი ჩემმა საძმაკაცომ სუფრა გაშალა, ამ სუფრის თავში იულია პეტროვნა იყო წამოსკუპებული. გაცილებისას, მადლობები ხომ გვიხადა, დარწმუნებული ვარ თავისთვის ერთს ნანობდა მხოლოდ – რატომ არ ჰყავდა კიდევ ქმარი, რომ კიდევ გამოეშვა სურამში და ისიც ჩვენი დასამარხი გამხდარიყო, რომ კიდევ ერთი თვე გაეტარებინა „სამოთხეში".

„TV-V კლასი" – ახალი ნიშა საგელევიზიო სივრცეში

როდესაც გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, იაპონიასა და აშშ-ში, ელექტრონული სხივების გამოყენებით, გარკვეულ მანძილზე, გამოსხივების გადაცემის და მიღებისათვის პირველი ექსპერიმენტები დაიწყეს, ყველაზე დიდი მეოცნებეც ვერ წარმოიდგენდა, რომ ერთი საუკუნის შემდეგ, მსოფლიოში ათი-ათასობით ტელემაუწყებლობა იარსებებდა. რადა შორს წავიდეთ, თუნდაც 30 წლის წინ, ჩვენთან ვინმე იფიქრებდა, რომ საქართველოში 99 ტელემაუწყებელი იქნებოდა? ალბათ არავინ! დიახ, საჯარო რეესტრის მონაცემებით, დღეს საქართველოში, ოფიციალურად დარეგისტრირებული 99 ტელევიზიაა, თუმცა ეს მონაცემები შესწორებას მოითხოვს, რადგან უკვე მე-100 ტელემაუწყებელიც გამოჩნდა, მისი დამფუძნებლები კი, არც - მეტი, არც - ნაკლები, სურამის III საჯარო სკოლის V კლასელები არიან.

როდესაც ეს სიახლე შევიტყე, სიმართლე გითხრათ, ძალიან სკეპტიკურად განვეწყე, მაგრამ როცა მათი პირველი გადაცემა ვნახე, იმდენად ვიხალისე, რომ რამდენჯერმე თავიდან ვუყურე. დარწმუნებული ვარ, ბევრი მოიქცა ასე. ბავშვები მსოფლიოში ყველაზე დიდი სოციალური ქსელით – ფეისბუკით მაუწყებლობენ. სასკოლო ცხოვრება, აქ მიმდინარე მოვლენები, სიახლეები მაყურებელს ისე ლაღად მიეწოდება, რომ გასაკვირია ამ პატარებისაგან. სამოყვარულო კამერით და ტელეფონით გადაღებულ სიუჟეტებში, რა თქმა უნდა, მრავლადაა, რბილად რომ თქვათ, არაპროფესიონალიზმის ელემენტები, მაგრამ სწორედ ამაშია მთელი ხიბლი. ან რატომ უნდა მოვითხოვოთ ამ ბავშვებს პროფესიონალიზმი? მათი პატარ-პატარა სამეტყველო შეცდომები და ე.წ სიუჟეტური „სრივები" სულაც არ აღიქმება ცუდ ტონად – პირიქით, როგორც ზემოთ აღვნიშნავ – ხიბლსაც კი მატებს მთელ გადაცემას. მათ საინფორმაციო გამოშვებასაც ორიგინალური დასახელება აქვს - „წინამასწარა". ეს ინფორმაციები კი გაჯერებულია პირდაპირი ჩართვებით, სპორტული სიახლეებით და სხვა საინტერესო სიუჟეტებით. ამინდის პროგნოზი კი იმდენად ორიგინალურად იყო მიწოდებული მაყურებლისთვის, რომ მართლაც ბევრი ვიხალისე და მინდა, ჩვენს მკითხველსაც გავაცნო: „დავიწყოთ მაღალმთიანი ბაიანთხევიდან. აქ უნალექო ამინდია, დღისით ტემპერატურა 18 გრადუსზე ავა, ღამით კი 5 გრადუსი იქნება. ღამეზე გამახსენდა – ღამის 10 საათზე, ამ უბანში მცხოვრები ლავრენტი გელაშვილი თავის ბულდოგისა და პიტბულის ნაჯვარ ძაღლს უშვებს და ფრთხილად იყავით. რაც შეეხება ზინდისს. აქ დაუბერავს ჩრდილოეთის ქარი. თუ ამ ქარმა არ დაუბერა, როგორც სანდო წყარო გვამცნობს, ამ უბნელი გურგენ მამისთვალიშვილი დილიდან სვამს და ის მაინც დაუბერავს... იტრიაში დღეს წვიმას ელიან, თუმცა, არის გამონაკლისიც: მაგალითად, შაქრო ბახტაძე სულაც არ ელის წვიმას და უფრო თავის ძროხას ელის, რომელიც სამი დღეა დაკარგულია. დაბოლოს, ჯაფინაური, სადაც ჩვენი სკოლაც მდებარეობს: აქ სულ მზეა და შუადღეს ცისარტყელაც გამოჩნდება. თუმცა, ამით ახალს არაფერს ვამბობთ, რადგან ისეც ყველამ იცით, რომ ჩვენი სკოლის თავზე ყოველთვის კაშკაშებს ცხრათვალა მზე!..

მზე და სითბო არ მოკლებოდეთ ამ ბავშვებს. ვულოცავთ მათ ამ წარმატებულ დებიუტს, ვულოცავთ მათი ტელევიზიის სულისჩამდგმელ პედაგოგებსაც – ნათელა გოგოლაძეს და არჩილ სუთიაშვილს, რომელთა იდეები ასე კარგად განახორციელეს ბავშვებმა და მოუთმენლად ველით „წინამისწარას" მორიგ გამოშვებას.

P.S „წინამისწარას" პირველ გამოშვებას, პირველივე დღეს, 5 ათასზე მეტი ნახვა ჰქონდა. ანტირეკლამა გამომივა, თორემ საქართველოში არსებული ზემონახსენები 99 ტელევიზიიდან ბევრს ჩამოგითვლით, რომელთაც, მგონი, წელიწადში არ მოუგროვდებათ 5 ათასი მაყურებელი.

გ.გოგოლაძე

მსოფლიო ჩემპიონატის კვარცხლბეკიდან კიდევ ერთმა ხაშურელმა გადმოიხედა

ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტსმენებისათვის 2018 წელი მართლაც წარმატებული გამოდგა. საქართველოს ჩემპიონატებში გამარჯვებებს, რომ თავი დავანებოთ, გვყვავს მსოფლიო ჩემპიონი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები. წლის ბოლო აკორდი კი სერბეთში, ქალაქ ნოვი-სადში, კადეტებს შორის, ჭიდაობა სამბოში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი იყო, სადაც ჩვენი სასპორტო სკოლის აღზრდილმა პაატა ტაბატაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ეს ამ ნიჭიერი სპორტსმენის, უდავოდ, დიდი წარმატებაა. ამ წარმატებაში კი დიდია მისი მწვრთნელის – ბუხუტი ბუხრიკიძის დამსახურება.

იმედია, 2019 წელი უფრო წარმატებული იქნება ჩვენი სპორტსმენებისა და მთლიანად სასპორტო სკოლისათვის.

D მერი ჯოჯიშვილის ხსოვას

ძნელია, მოიძებნოს ჩვემი ქალაქის ისტორიაში ადამიანი, ქალბატონ მერი ჯოჯიშვილს რომ არ იცნობდეს.

ის იყო გამორჩეული ქალბატონი, რომელიც ამშვენებდა, ლაზათს სძენდა ყველაფერს თავის გარშემო.

შეუძლებელია, არ შეგემჩნიათ, თვალი არ შეგევლოთ, არ მოხიბლულიყავით, ამ, ერთი შეხედვით მკაცრი, შეუვალი, მტკიცე, სინამდვილეში საოცრად თბილი, კეთილი, კდემით, სათნოებით, მზით, სიყარულით აღსავსე ადამიანით, რომელშიც ყველაზე მეტად სჭარბობდა ღვთისგან მომადლებული ნიჭი ლიდერისა, წინამძღოლისა.

ამ ნიჭით დაჯილდოებული, ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ხაშურის მე-7 სკოლას. ხელმძღვანელობდა დიდი შემართებით, მთელი არსებით. შეიძლება ითქვას, მისი ცხოვრების არსი, სკოლა იყო. მაგრამ მთავარი ისაა, რომ თავად ქალბატონი მერი იყო სკოლა, რომელიც გვასწავლიდა ერთგულებას, მეგობრობას, თავგანწირვას, იმას, "სიცოცხლე უნდა გაზაფხულს ჰგავდეს" და მართლაც, გაზაფხული იყო მისი ცხოვრება, ატმის ყვავილივით ლამაზი, გამორჩეული.

მერი ჯოჯიშვილი ხელოვნების, პოეზიის, მშვენიერების ტრფიალი იყო და შესწევდა უნარი ყველაფერში აღმოეჩინა სილამაზე, სათანადოდ შეეფასებინა და უფრო მეტიც, თავად შეექმნა სილამაზე. მას ჰქონდა ძალა, ბოროტი კეთილად ექცია. მას სწამდა და ჩვენც გვარწმუნებდა, წამით შცნობილი უკვდავება რომ სჯობს შეუცნობელ მარადისობას.

ქალბატონო მერი, მერი მასწავლებელო! ვეამაყება, რომ გვერქვა თქვენი მოსწავლეები, თქვენი კოლეგები. გვქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავით თქვენ გვერდით, თქვენგან გვესწავლა, თქვენი შენიშვნები მიგვეღო, შექება დაგვემსახურებინა.

მადლობა ამისთვის... თქვენთან გატარებული წლებისთვის, ლამაზი წარსულისთვის, მადლობა იმ ბედნიერებისთვის, თქვენი მოსწავლეობა და თქვენი კოლეგობა რომ ჰქვია.

სსიპ ქალაქ ხაშურის #7 საჯარო სკოლის
პედაგოგიური კოლექტივი.

D თემურ მაღალდაძის ხსოვნას

არიან ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება სითბოს და სიყვარულს დაატარებენ და გარშემომყოფებს უზიარებენ. ასეთი იყო და ასეთი დარჩება ჩვენს ხსოვნაში თემურ მაღალდაძე, კაცი, რომელმაც, ჩვენს მუნიციპალიტეტში, სპორტის განვითარებისა და აღორძინებისათვის ბევრი გააკეთა. სპორტის დამსახურებული მოღვაწე ქართული ჭიდაობის ტრფიალი იყო და ბოლო ათეული წლები არცერთ ტურნირს არ ჩაუვლია მის გარეშე. იგი იყო სწორედ ამ ტურნირების ინიციატორი ან ორგანიზატორი. ქართული ჭიდაობა თუ ასეთი პოპულარულია ხაშურში, ამაში დიდი წვლილი ბატონ თემურსაც მიუძღვის. საოცრად თავმდაბალი, დიდს თუ პატარას კაცობის მაგალითს აძლევდა და ამიტომაც იყო მისი სამეგობრო წრე ასეთი ფართო.

დაგვაკლდა ყველას – ოჯახს, კოლეგებს, სამეგობროს. მისი გაკეთებული კეთილი საქმეები კი მომავალშიც გაიკვალავენ გზას და ყველას გვემახსოვრება, რომ ამ სიკეთეების თავში იდგა ნამდვილი პატრიოტი და კარგი ქართველი კაცი – თემურ მაღალდაძე.

სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა.

სასპორტო სკოლის კოლექტივი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.